სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

დავით ჯავახიშვილი[1]
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.21.14

ქორწინებანი კახეთის სამეფო და სამეგრელოს სამთავრო სახლების წარმომადგენელთა შორის (XVI-XVIII საუკუნეები)[2]

აბსტრაქტი. გამოკვლევაში შესწავლილია კახეთის და ქართლ-კახეთის სამეფო სახლების წარმომადგენელთა ქორწინებანი სამეგრელოს/-ოდიშის სამთავრო სახლის წარმომადგენლებზე. ეს შეუღლებანი განამტკიცებდა კავშირს ხსენებული სამეფოების მმართველ ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტოსა და ოდიშის სამთავროს მმართველ დინასტიას - დადიანებს შორის.

ნაშრომში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის შესწავლილი ასეთი შეუღლებანი, რომლებიც ოთხჯერ მოხდა: 1) 1590 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის (მეფობდა 1574-1601; 1602-1605 წლებში) ასული ნესტან-დარეჯანი ცოლად გაჰყვა მანუჩარ I-ს (მთავრობდა 1590-1611 წლებში). 1591 წელს ნესტან-დარეჯანი მშობიარობისას გარდაიცვალა. მისი ძე - ლევან II (1591-1657) - 1611-1657 წლებში მთავრობდა; 2) 1750 წელს მეფე ერეკლე II-მ (1744-1762 წლებში მეფობდა კახეთში, 1762-1798 წლებში - ქართლ-კახეთში) ცოლად შეირთო დარეჯანი (1734-1807), ასული კაცია/-

[1] **დავით ჯავახიშვილი,** ისტორიის დოქტორი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი.

[2] მოხსენება წაკითხულია **ექვთიმე თაყაიშვილის** 160 წლისთავისადმი მიძღვნილ მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე *„აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, კულტურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი განათლება“.* სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. 2023 წლის 22-23 დეკემბერი.

გიორგი დადიანისა, რომლის ძმისწული კაცია II - 1757-1788 წლებში მთავრობდა; 3) 1765 წელს ერეკლე II-ის და - ელისაბედი (1750-1770) ცოლად გაჰყვა კაცია II-ს. ელისაბედი მშობიარობისას გარდაიცვალა. მისი ძე - გრიგოლი (1770-1804) - 1788-1804 წლებში მთავრობდა; 4) 1790 წელს ერეკლე II-ის შვილიშვილი - ნინო გიორგის ასული (1772-1847) ცოლად გაჰყვა მთავარ გრიგოლს. მეუღლის გარდაცვალების (1804) შემდეგ, ნინო რეგენტის რანგში განაგებდა სამთავროს, სრულწლოვანობამდე თავისი ძისა-ლევან V-ისა (1793-1846), რომელიც 1810-1840 წლებში მთავრობდა.

საკვანძო სიტყვები: ბაგრატიონები, დადიანები, კახეთის სამეფო, ქართლ-კახეთის სამეფო, სამეგრელოს (ოდიშის) სამთავრო.

Davit Javakhishvili[3]
National Agency for the Protection of Cultural Heritage of Georgia

Marriages Among the Representatives of the Houses of Kakheti Kingdom and Samegrelo Principality (XVI-XVIII Centuries)[4]

The study examines the marriages among the representatives of the Houses of Kakheti and Kartli-Kakheti Kingdom and Principality of Samegrelo (Odishi, Mingrelia). These marriages strengthened the connection between the rulers of those kingdoms - Kakheti branch of Bagrationi royal dynasty and the ruling dynasty of Principality of Samegrelo – Dadiani.

In the paper, the chronological examines such insolation that occurred four times: 1) In 1590, the daughter of King Alexander II of Kakheti (reigned in 1574-1601 and 1602-1605) - Princess Nestan-Darejan married the Sovereign Prince Manuchar I (ruled in 1590-1611). In 1591 Nestan-Darejan died at child-birth. Their son -Sovereign Prince Levan II (1591-1657) ruled in 1611-1657; 2) In 1750, King Erekle II (reigned in 1744-1762 - in Kakheti, in 1762-1798 - in Kartli-Kakheti) married the Princess Darejan Dadiani (1734-1807), daughter of Katsia/Giorgi Dadiani, whose nephew Sovereign Prince Katsia II ruled in 1757-1788; 3) In 1765, King Erekle II's sister, the King's Daughter Princess Elisabed (1750-1770) married the Sovereign

[3] **Davit Javakhishvili,** Doctor of History, Collaborator of the National Agency for the Protection of Cultural Heritage of Georgia.

[4] The report was read at the third international scientific conference dedicated to the 160th anniversary of **Ekvtime Takaishvili** *"Cultural values of Abkhazia: language, literature, culture, history, social sciences and education".* Sokhumi State University, Korneli Kekelidze National Manuscript Center. December 22-23, 2023.

prince Katsia II. Elisabed died at child-birth. Their son – Sovereign prince Grigol (1770-1804) ruled in 1788-1804; 4) In 1790, the grandson of Erekle II - princess Nino (1772-1847) married the Sovereign Prince Grigol Dadiani. After the death of her husband (1804), Nino as a regent ruled Principality of Odishi until adulthood of her son -Sovereign Prince Levan V (1793-1846), who ruled in 1810-1840.

Keywords: Bagrationi, Dadiani, Kingdom of Kakheti, Kingdom of Kartli-Kakheti, Principality of Samegrelo/Odishi.

შესავალი. წინამდებარე გამოკვლევაში შესწავლილია კახეთის და ქართლ-კახეთის სამეფო სახლების წარმომადგენელთა ქორწინებანი სამეგრელოს (იმავე ოდიშის) სამთავრო სახლის წარმომადგენლებზე. ასეთი შეუღლებანი, რომლებიც XVI-XVIII საუკუნეებში ოთხჯერ მოხდა, განამტკიცებდა კავშირს ხსენებული სამეფოების მმართველ ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტოსა და ოდიშის სამთავროს მმართველ დინასტიას - დადიანებს (როგორც პირველ, ასევე მეორე სახლს) შორის.

დისკუსია სტატიაში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის შესწავლილი თითოეული ასეთი ქორწინება.

1. ოდიშის მთავარ მანუჩარ I დადიანისა და კახი ბატონიშვილის - ნესტან-დარეჯან ალექსანდრეს ასული ბაგრატიონის ქორწინება (1590 წელი). სპარსეთის შაჰინშაჰმა აბას I-მა სეფიანმა, რომელიც 1587-1629 წლებში მეფობდა, მოისურვა, რომ ცოლად შეერთო კახი ბატონიშვილი ნესტან-დარეჯანი - უფროსი ასული კახეთის მეფე ალექსანდრე II-ისა (მეფობდა 1574-1601 და 1602-1605 წლებში). 1590 წელს მან საგანგებო ელჩის საშუალებით ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა კახთა მეფეს და ასულის ხელი სთხოვა.

თავისი ქალიშვილის გათხოვება სპარსეთის მბრძანებელზე მეფე ალექსანდრე II-მ არ მოინდომა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ვაჟი - უფლისწული კონსტანტინე (მომავალში - მამისა და ძმის მკვლელი და სამეფო ტახტის მიმტაცებელი მეფე - კონსტანტინე I) ისედაც შაჰინშაჰის სამეფო კარზე მძევლად იმყოფებოდა (ჯავახიშვილი, 2020: 69-70).

ამ არასასურველი ქორწინების თავიდან ასაცილებლად კახთა მეფემ ასული სასწრაფოდ მიათხოვა მანუჩარ I დადიანს (მთავრობდა 1590-1611 წლებში), რომელიც ის-ისაა ავიდა ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო ტახტზე. ნესტან-დარეჯანს მზითვად გაატანეს ყმები და ძვირფასი საჩუქრები, მათ შორის შაჰინშაჰისაგან გამოგზავნილი ნივთებიც.

ვინაიდან სპარსეთის მბრძანებლის მოთხოვნის უპასუხოდ დატოვება შეუძლებელი გახლდათ, კახთა მეფემ ისპაჰანს მიავლინა დესპანი, რომელსაც მობოდიშებასთან ერთად, დააბარა გადაეცა შაჰინშაჰისათვის შემდეგი: „სანამ თქვენ ჩემთან დამოყვრების სურვილს გამოთქვამდით, ჩემი ასული დანიშნული გახლდათ დადიანზე და ნუ განმირისხდებით“. ამ პასუხთან ერთად ალექსანდრე II-მ თავის დესპანს შაჰ-აბას I-თან ძვირფასი საჩუქრებიც გაატანა.

1591 წელს ოდიშის დედოფალი ნესტან-დარეჯანი მშობიარობისას გარდაიცვალა (ანთელავა, 1990: 24-38). დედოფლის დაღუპვის მიუხედავად, გადარჩა მისი ვაჟი - ლევან II (1591-1657), რომელიც 1611-1657 წლებში, ანუ 46 წლის განმავლობაში მთავრობდა და ოდიშის სამთავროს ისტორიაში ერთ-ერთ უძლიერეს მთავრად მიიჩნევა.

მეფე ალექსანდრე II-ის სურვილის შესაბამისად, მისი დაობლებული შვილიშვილი - ლევან მანუჩარის ძე დადიანი ბავშვობიდან დედულეთში - კახეთის სამეფო კარზე იზრდებოდა.

„დიდი ნიკოს“ სახელით ცნობილი ნიკო დადიანი თავის თხზულებაში „ქართველთ ცხოვრება“ მოგვითხრობს: „ლეონ ყრმა, ობლად დაშთომილი დედისაგან, წარმოიყვანა პაპამან მისმან და ზრდიდა თვით. და შემდგომად აღზრდისა წარიყვანა მამან მისმან მანუჩარ ლეონ, შვილი თვისი“ (დადიანი, 1962: 141).

ლევან დადიანმა კახეთში საკმაოდ დიდხანს, თითქმის 13 წლის ასაკამდე დაჰყო. 1605 წელს, მას შემდეგ, რაც მეფე ალექსანდრე II საკუთარი ვაჟის - სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი და გამაჰმადიანებული კონსტანტინე-მირზას მიერ მოწყობილი შეთქმულების მსხვერპლი გახდა, ლევან დადიანი ოდიშში დაბრუნდა (ანთელავა, 1990:39).

საგულისხმოა, რომ მოგვიანებით, ოდიშის დიდშემძლე მთავარმა ლევან II-მ თავის უფროს ვაჟს და სამთავრო ტახტის მემკვიდრეს დაარქვა ალექსანდრე - სახელი თავისი გვირგვინოსანი პაპისა - კახთა მეფე ალექსანდრე II-ისა (ჯავახიშვილი, 2020: 69-70). ვფიქრობ, რომ ამ ფაქტიდან ნათლად ჩანს ლევან დადიანის დამოკიდებულება თავისი აღმზრდელი პაპისადმი.

2. კახეთის მეფე ერეკლე II-ისა და დარეჯან დადიანის ქორწინება (1750 წელი). მეფე ერეკლე II (1720-1798), რომელიც 1744-1762 წლებში მეფობდა კახეთში, ხოლო 1762-1798 წლებში - გაერთიანებულ ქართლ-კახეთში, 29 წლის ასაკში უკვე მეორედ დაქვრივდა.

1749 წლის 6 დეკემბერს თბილისში გარდაიცვალა მეფე ერეკლე II-ის მეორე მეუღლე - კახეთის დედოფალი ანა ზაალის ასული აბაშიძე (1730-

1749) (ქრონიკები XVII-XVIII, 1980: 93), რომელიც იმხანად სრულიად ახალგაზრდა - 19 წლისა ყოფილა.

1750 წელს კახეთის მეფე ერეკლე II-მ მესამედ იქორწინა. მისი მესამე და უკანასკნელი თანამეცხედრე გახდა დარეჯან დადიანი (1734-1807), ასული კაცია (იმავე გიორგი) ბეჟანის ძე დადიანისა. ამ უკანასკნელის ძმისწული - კაცია ოტიას ძე დადიანი, იგივე კაცია II - ოდიშის სამთავროს 1757-1788 წლებში განაგებდა.

დავით ბატონიშვილი (1767-1819) მოგვითხრობს: „იქორწინა მეფემან ირაკლიმ დადიანის ასულსა ზედა დარიაზე, რომელი ესე იყო მესამე ცოლი მეფისა“ (ბატონიშვილი, 1941: 5). ამის შესახებ ნიკო დადიანი გვამცნობს: „მოიყვანა მეუღლედ დადიანისა კაციას ბიძაშვილი დარეჯან, დედათა შორის ღირსახსოვარი“ (დადიანი, 1962: 141). ამ ქორწინების შესახებ უფრო ვრცლად მოგვითხრობს პაპუნა ორბელიანი, რომლის თხზულებაშიც ვკითხულობთ: „წარავლინეს იმერეთად ხორაშან ბატონიშვილი და თან აახლეს ნინოწმინდელი საბა ეპისკოპოსი და ითხოვეს ქალი დადიანისა დარეჯან მეფისა ერეკლესათვის. წამოიყვანეს სახლით მეფისა ალექსანდრესით და მოიყვანეს სურამს. ქალაქიდამ წაბძანდა მეფე ერეკლე, თან გაყვა პატრიარქი ანტონი ბატონიშვილი, მიბძანდნენ სურამს. ნახა ქალი მეფემ, დიდად მოიწონა მშვენიერება მისი და წამოიყვანეს ლხინ-მრავლობით და ჩამობძანდენ ქალაქს. მზა ექმნა რიგი ქორწილისა მეფეს თეიმურაზს ცხებულსა და შეიქნა ქორწილი და სახლსა ახალსა, რომელი აღეგო მეფეს თეიმურაზს მტკვრის პირს, შვენიერი და შემკული ყოვლით კერძო. იყო შვიდს დღეს და ღამეს შვება და განცხრომა უზომო, რომ ამისთანა სიხარული არ გვენახა“ (ორბელიანი, 1981: 180).

დარეჯან დედოფალი, რომელმაც მეფეს 23 შვილი გაუჩინა, გარდაიცვალა 1807 წლის 8 იანვარს, სანკტ-პეტერბურგში. დაკრძალულია წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში მდებარე ხარების ეკლესიაში (ბერძენიშვილი, 1980: 205).

3. ოდიშის მთავარ კაცია II დადიანისა და კახი ბატონიშვილის - ელისაბედ თეიმურაზის ასულ ბაგრატიონის ქორწინება (1765 წელი). მეფე თეიმურაზ II (1700-1762), რომელიც 1733-1744 წლებში მეფობდა კახეთში, ხოლო 1744-1762 წლებში - ქართლში, 46 წლის ასაკში დაქვრივდა. მისი პირველი მეუღლე იყო თამარ დედოფალი (1696-1746), ასული ქართლის მეფე ვახტანგ VI-ისა (1675-1737). ამ ქორწინების შედეგად დაიბადა მომავალი მეფე ერეკლე II. მგლოვიარე თეიმურაზ II-ს ახლობლებმა ურჩიეს: „ვაითუ შაჰნადირმა თათარი ქალი გამოგიგზავნოსო. მოდი, მალე შეირთე ცოლიო“ (ქრონიკები XVII-XVIII, 1980: 82), მართლაც, მეუღლის გარდაცვალებიდან

ოთხიოდე თვის გასვლის შემდეგ, თეიმურაზ II მეორედ დაქორწინდა. 1746 წლის 19 აგვისტოს მან ცოლად შეირთო ანა-ხანუმ ბარათაშვილი (გარდაიცვალა 1788 წელს), ასული ქართლის გავლენიანი თავადისა ბეჟან იოთამის ძე ბარათაშვილისა (ქრონიკები XVII-XVIII, 1980: 82). ამ ქორწინების შესახებ გვაუწყებენ მემატიანენი - პაპუნა ორბელიანი (ორბელიანი, 1981: 116-117) და იესე ბარათაშვილი (ბარათაშვილი, 1950: 9). აღნიშნული ქორწინების შედეგად დაიბადა ელისაბედ ბატონიშვილი (1750-1770), რომელიც ნახევარ დად ერგებოდა მეფე ერეკლე II.

ელისაბედ ბატონიშვილი ყმაწვილობიდან დანიშნეს და შემდეგ ცოლად გააყოლეს ქართლის გავლენიანი თავადის - დიმიტრი ამილახვრის ვაჟს - გივის (იმავე გიორგი) ამილახვარს, რომელიც საისტორიო წყაროებში 1750-1802 წლებში ჩანს.

XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი ალექსანდრე დიმიტრის ძე ორბელიანი (1750-1802) მოგვითხრობს: „ელისაბედი ერთი წლისა იყო, როდესაც ქართული ჩვეულების თანახმად, ჩემს უფროს ძმაზე - გიორგიზე დანიშნეს, რათა ჩვენს ოჯახებს შორის მოყვრობა და ზავი დამყარებულიყო... როცა ჩემს ძმას ცხრა წელი შეუსრულდა, მას ჯვარი დასწერეს ქართული ჩვეულების მიხედვით“ (ამილახვარი, 1997: 60-65).

1765 წელს ელისაბედ ბატონიშვილი და გივი ამილახვარი ერთმანეთს დააშორეს. ამის მიზეზი გახდა ერეკლე II-ის უნდობლობა ქართლის ფეოდალთა იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ბაგრატიონთა ქართლის შტოს ერთგული რჩებოდა. ამ ქორწინების დარღვევის მიზეზად კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა ელისაბედის ქმრის მამაკაცური უძლურობა გამოაცხადა. ამას დაემატა დიმიტრი ამილახვრის ოჯახის წევრთა დადანაშაულება 1765 წელს მოწყობილ ფეოდალთა შეთქმულებაში მონაწილეობაში, რომელიც მიზნად ისახავდა მეფე ვახტანგ VI-ის ვაჟის-პაატა ბატონიშვილის (1720-1765) ქართლში გამეფებას. ამის გამო, ამილახვრები სასტიკად დასაჯეს.

იმავე წელს, ელისაბედი მეორედ გაათხოვეს. იგი ცოლად გააყოლეს ოდიშის მთავარ კაცია II-ს, (ქრონიკები XVII-XVIII 1980: 120), რომელიც ოდიშის სამთავროს 1757-1788 წლებში განაგებდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ქორწინების გამო, კაცია II-მ დაანგრია თავისი პირველი ოჯახი, კერძოდ, გაეყარა მეუღლეს, რომელიც გახლდათ ასული აფხაზი წარჩინებული თავადისა-ინალ-იფასი (ამ გვარის ქართული ფორმაა „ინალიშვილი“).

ნიკო დადიანი მოგვითხრობს: „კაცია დადიანმა განუტევა ცოლი, ინალისშვილის ასული და მოიყვანა მეუღლეთ დიდითა და სახელოვანითა

მზითვითა საქართველოისა და კახთა ცხებულის მეფის თეიმურაზის ასული, და - სახელოვანის მეფის ერეკლესი ელისაბედ, რომლის ქებანი წარიწერებოდენ ამა სამეფოთა და სამთავროთა კიდით-კიდედმდე“ (დადიანი, 1962: 179).

1770 წელს ოდიშის დედოფალი ელისაბედი მშობიარობისას გარდაიცვალა. დედოფლის დაღუპვის მიუხედავად, გადარჩა მისი ვაჟი - გრიგოლი (1770-1804), რომელიც 1788-1804 წლებში, ანუ 16 წლის განმავლობაში მთავრობდა და თავისი ბედიც კახ ბაგრატიონ ასულს დაუკავშირა (ჯავახიშვილი, 2020: 69-70), რის შესახებაც ამ ნაშრომის უკანასკნელ ნაკვეთში ვსაუბრობთ.

4. **ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანისა და ქართლ-კახეთის ბატონიშვილის - ნინო გიორგის ასულ ბაგრატიონის ქორწინება (1790 წელი).** ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის უფროსი ვაჟისა და სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწულის - გიორგის (მომავალი მეფე გიორგი XII-ის) ასული - ნინო ბატონიშვილი (1772-1847) 1790 წელს ცოლად გააყოლეს ოდიშის მთავარ გრიგოლ კაციას ძე დადიანს, რომელიც 1788-1804 წლებში მთავრობდა.

მეუღლის გარდაცვალების (23.10.1804 წ.) შემდეგ, ნინო დედოფალი რეგენტის რანგში განაგებდა სამთავროს, სრულწლოვანობამდე თავისი ძისა - ლევანისა, მომავალი მთავრისა ლევან V-ისა (1793-1846), რომელიც ოდიშს 1810-1840 წლებში განაგებდა. მისი ვაჟი იყო დავით V დადიანი (1812-1853), რომელიც 1840-1853 წლებში მთავრობდა და ცოლად ჰყავდა ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (1816-1882).

მათი უფროსი ვაჟი - ნიკოლოზ (იგივე ნიკო) დავითის ძე დადიანი (1847-1903), მამის გარდაცვალების გამო, 7 წლის ასაკიდან ითვლებოდა სამეგრელოს უკანასკნელ მთავრად, თუმცა სამთავროს რეალურად დედამისი განაგებდა. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ოფიციალურად გააუქმა სამეგრელოს სამთავრო და იგი ქუთაისის გუბერნიის შემადგენელ ნაწილად აქცია, 1867 წლის 4 იანვარს ნიკო დადიანს უბოძეს ტიტული - „უგანათლებულესი თავადი მინგრელსკი“. მთავრის ტიტულის ნებაყოფლობითი დათმობის სანაცვლოდ, მას საიმპერიო ხელისუფლებამ კომპენსაციის სახით გადაუხადა 1 მილიონი რუბლი, რაც იმხანად ფრიად სოლიდურ თანხას წარმოადგენდა. იმავდროულად, მას სრულად შეუნარჩუნეს ასევე სოლიდური პირადი ქონება, რომელიც სამეგრელოს ტერიტორიაზე მდებარეობდა (Дворянские роды, 1998: 54-56).

დასკვნა. ამრიგად, კახეთის და ქართლ-კახეთის სამეფო სახლების წარმომადგენელთა ქორწინებანი ოდიშის ანუ სამეგრელოს სამთავრო სახ-

ლის წარმომადგენლებზე ტრადიციულ ხასიათს ატარებდა. ასეთი შეუღლებანი, რომლებიც XVI-XVIII საუკუნეებში ოთხჯერ მოხდა, განამტკიცებდა კავშირს ხსენებული სამეფოების მმართველ ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტოსა და ოდიშის სამთავროს მმართველ დინასტიას - დადიანებს (როგორც პირველ, ასევე მეორე სახლს) შორის (ჯავახიშვილი, 2020).

გამოყენებული ლიტერატურა:

ამილახვარი (1997): ამილახვარი ალექსანდრე, ბრძენი აღმოსავლეთისა, გეორგიანული ისტორია, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ბიოგრაფიული ნარკვევი დაურთო ვაჟა კიკნაძემ, თბილისი;

ანთელავა (1990): ანთელავა ილია, ლევან II დადიანი, თბილისი, 1990;

ბარათაშვილი (1950): იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონით და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი;

ბატონიშვილი (1941): დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თამარ ლომოურის გამოცემა, თბილისი;

ბერძნიშვილი (1980): ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი;

დადიანი (1962): დადიანი ნიკო, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შოთა ბურჯანაძემ, თბილისი;

ქრონიკები XVII-XVIII (1980): საქართველოს ისტორიის ქრონიკები (XVII-XVIII საუკუნეები), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი;

ორბელიანი (1981): ორბელიანი პაპუნა, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დააადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი;

ჯავახიშვილი (2020): ჯავახიშვილი დავით, ბაგრატიონთა კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარება (XV-XXI საუკუნეები), კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემა, თბილისი;

Дворянские роды (1998): Дворянские роды Российской империи, под редакцией С. Думина, т.IV, С. Думин, Ю. Чиковани, Князья Царства Грузинского, Москва.